ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3722822

ნომერი: AR1561713

თარიღი : 30.11.2017

გაცემის თარიღი : 07.12.2017

გაცნობის თარიღი : 07.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი მოსკოვი , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იაკობ გვალია პ/ნ 01005004078
- ჭავჭავაძის 37დ, ბ 30

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით (გაბარიტებით) სარეკლამო კონსტრუქციის მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია, საჭიროა მოეწყოს მეტად მცირე გაბარიტული ზომების სარეკლამო კონსტრუქცია. რისთვისაც საჭიროა წარმოადგინოთ განახლებული, რეალობასთან მიახლოვებული ფოტომონტაჟი, დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით. ასევე საჭიროა წარმოდგენილ ფოტოსურათთან ერთად დამატებით წარმოადგინოთ არსებული სიუტაციის მეტად ახლო მანძილიდან გადაღებული ფოტოსურათი.
ასევე საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა საპროექტო სარეკლამო კონსტრუქციის დატანით.

- განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში სამუშაოების განხორციელების ინტერესის მქონე პირთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მესაკუთრეს წარმოსადგენია განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი კერძოდ, წარმოადგინეთ შპს "უნივერსალური სადისტრიბუციო კომპანია"-ის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის - მოქ. ვასილ თაყაიშვილის მიერ სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა ან აღნიშნული პიროვნება დაფიქსირდეს თანაგანმცხადებლად. იმ შემთხვევაში თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება სარგებლობით გადაცემულ ფართს, წარმოსადგენია მოსარგებლის თანხმობა, ხოლო თუ არ ეხება განმარტეთ მოთხოვნის ტექსტში. ხოლო თუ სამუშაოების განხორციელების ინტერესი აქვს მოსარგებლეს, წარმოსადგენია მესაკუთრის თანხმობა ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია თუ ის ითვალისწინებს ასეთ თანხმობას.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.